საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/23

ქ.თბილისი

"28" თებერვალი 2016 წ.

წავკისის ქედზე რადიოსიხშირული სპექტრის საპელენგაციო სადგურის მოწყობის უზრუნველყოფის მიზნით საორგანიზაციო ჯგუფის შექმნის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") მიერ, წავკისის ქედზე რადიოსიხშირული სპექტრის საპელენგაციო სადგურის (შედგომში „სადგური") ინფრასტრუქტურის მოწყობის უზრუნველყოფის მიზნით, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.შეიქმნას საორგანიზაციო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) იოსებ ხარებავა - კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი (ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ) ნიკოლოზ წერეთელი - კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;

გ) გრიგოლ სულუხია - კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

დ) გიორგი ყურმაშვილი - კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სპეციალისტი;

ე) ნიკოლოზ კონდოლელი - რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მთავარი ინჟინერი;

ვ) ნარგიზა ლომთაძე - კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის არასაშტატო სპეციალისტი.

2. დამტკიცდეს სადგურის ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა (დანართი 1);

3. წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნულმა პირებმა უზრუნველყონ თანდართული გეგმის შესაბამისად გათვალისწინებულ ვადებში მოცემული ღონისძიებების განხორციელების ორგანიზება;

4. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად შექმნილი საორგანიზაციო ჯგუფის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 2017 წლის 1 ივლისამდე პერიოდი;

5. ბრძანება ძალაში შედის კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6) ერთი თვის ვადაში;
7. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (ი. ხარებავა).

საფუძველი: რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის უფროსის ს. შავგულიძის სამსახურებრივი ბარათი (N შ 10/11561–16,27.10.2016წ.).

კომისიის თავმჯდომარე ვ. აბაშიძე